

სიანბი

მარტი 1936

ფასი 50 ლ

№ 5



ახ. ლანის.



სიმბოლო სიყვარულსა და სიძულესა



ჰიტლერი:

მომეცი ხელი, მომეცი სიტყვა, რომ მენ ჩემი ხარ გულს შეაბერთი, მომეცი ფიცი, რომ გეყოლები ოცნებად მხოლოდ მე ერთად ერთი.

საზრანგეთი:

სიყვარულისთვის ბუდამ მზადა ვარ და შემოძლია რომ მოგცე ფიცი, მაგრამ შენს სიტყვას სხვა საქმეა ახლან, რომ მილატებს ეს კარგად ვიცი.

ჰიტლერი:

რაო? ლალატი? აბა რას ამბობ? მე და ლალატი სად გაიგონე? შენ ექვიანობ, ჩემო გერიტონა, მახვილი მხოლოდ მე ისე.. მინდა, რომ სხვებისაგან დაეცვა შენი ჩემდამი ტრფობა, გრძნობები წმინდა.

საზრანგეთი:

თუ აგრე არის, ხელში რად გინდა რომ გიჭერია მახვილი დანა? ძალით დაპყრობა სიყვარულსა შესაძლო არის ჩვენს დროში განა?

ჰიტლერი:

რაო? ლალატი? აბა რას ამბობ? მე და ლალატი სად გაიგონე? შენ ექვიანობ, ჩემო გერიტონა, მახვილი მხოლოდ მე ისე.. მინდა, რომ სხვებისაგან დაეცვა შენი ჩემდამი ტრფობა, გრძნობები წმინდა.

საზრანგეთი:

როგორ ვიწამო ეს შენი სიტყვა, როდესაც მახვილს უღერებ ჩემს მკერდს?

ჰიტლერი:

მიყვარს მახვილის ხელში თამაში, სხვა აზრი არ მაქვს, ვფიცავ მაღალ ღმერთს.

საზრანგეთი:

მაშ, ტკივილს რად გრძნობს მთელი სხეული? რას ნიშნავს, მითხარ, დანა შეშველი?

ჰიტლერი:

სიმბოლო არის, სიყვარულისა, გაჭირვების დროს ზოგჯერ გეშველის...

საზრანგეთი:

ეს კი რას ნიშნავს, ჩემსკენ მოიწევ, დაგიბჯენია დანაც ჩემს გულზე,

ჰიტლერი:

კმარა, წაყვით რეინის პირად, იქ ვისაუბროდ ჩვენს სიყვარულზე.

სანდრო

ს ი ძ ე ლ ე ნ ი

—როდესაც პირველ ზუთწლედს ვუღებოდით, ჩვენ მრავალი სიძნელეანი გვქონდა, ისინი თუმცა ჩვენთვის დასაძლევად იყვნენ, მაგრამ ბევრს მაინც უძლიველად ეჩვენებოდა და წყალში დასველებული თაგვებივით წუწუნობდნენ დიადი მშენებლობის გეგმის წინააღმდეგ — მითხრა პრეტმა ნიაგარელმა.

—ფიცი! საუცხოვო თემა! მოდი შევამოწმოთ ეხლა, რა სახის „სიძნელეები“ არსებობს და ვინ რა აზრისაა საერთოდ სიძნელეთა შესახებ! — ვუპასუხე მე.

—თანახმა ვარ! — იყო პასუხი.

— ა ბიჭო ახალი „სიძნელეები“ — მითხრა მზიარულად ნიაგარ პირველ რიგში საკოლმეურნეო მინდვრებს მივაშურეთ. ჩვენი გეგმის თანახმად, გვინდოდა შეგვემოწმებია კოლმეურნეების აზრი სიძნელეების შესახებ, ან უკეთ რომ ესთქვათ, გამოგვეჩვენებია, არსებობენ თუ არა მათთვის ძველი ან ახალი სიძნელეები.

კოლმეურნეები საგანგებო თესვაზე გამოსულიყვნენ. საუცხოვო დარი იდგა. ტრაქტორების მძლე გოგუნს კოლმეურნეთა მზიარული სიმღერა უერთობოდა:

ვოდელია დელია!
ეს ქვეყანა ჩვენია
ვინ გათოხნის
ამდენ ყანებს
ვინ დაკოცნის
ამდენ ქალებს,
ვოდელია, დელია.

შემოსძახებს ბიჭებმა ერთ ბრიგადაში. მათმა თაოსნობამ შუახნის და მოხუც მამაკაცებსაც მღერის ხალისი მოუმატა და ხმები ააყოლეს. აპყენენ ქალებიც.

რელმა: — დაკვირდი: „ვინ გათოხნის ამდენ ყანებს“... მაგრამ მისი სიტყვები მეორე ბრიგადის გოგუნმა დაფარა. უკანასკნელმა პირველი ბრიგადისაგან სიმღერის „ჩამორთმევა“ მოინდომა, მაგრამ არც პირველმა დასთმო და ორივე ბრიგადის ყველა წევრებმა, ქალებმა და ხნიერი მამაკაცების ჩართვით, — ერთხმად გააგრძელეს:

მე დათოხნი
ყველა ყანებს
მე დაკოცნი
ყველა ქალებს
ვოდელია!... დელია!...

როცა სიმღერა შეწყდა, ერთ ხნიერ მამაკაცს შევეკითხეთ: — გათოხნის „სიძნელეები“ როგორც ჩანს არ გაშინებთ. ამას

თქვენი სიმღერა მოწმობს, მაგრამ გვითხარი, ძია, ხომ არ ელით სხვა რამე სიძნელეებს?

— როგორ არა! — გვითხრა მზიარული გამომეტყველებით მოხუცმა — შარშან დიდი მოსავალი გვქონდა ძლივს მოვიწიეთ და შევინახეთ!... წელს კი მანე მტრს მრვილით. ამოდენა მოსავლის შენახვა ადვილი გგონია? ძნელი იქნება, მეგობრებო, მაგრამ არაფერია, დავძლევთ მაგ სიძნელესაც! — გვითხრა მზიარული გამომეტყველებით მოხუცმა კოლმეურნემ.

— რამ დაგაღონა? — შევეკითხე სოფლის კოოპერატივის ნოქარს, რომელსაც ცხირი ჩოლოქივით დაგრძლევოდა. — სიძნელეები ხომ არ გაგიჩნდა?

— ეხ, ნულარ მომაგონებთ ჩემს გაჭირვებას. ადრე სხვებისთვის არსებობდნენ სიძნელეები. საქონელი ნაკლებად იყო. რაც მომიღოდა ჩემს ნებაზე ვანაწილებდი... თავს არხეინად გგრძობდი. სოფელში პირველი კაცი ვიყავი. სარგებლობაც მქონდა... ცოტას ქეც „ვიმავებოდი“, გერავინ მიგებდა... შინაურები ვერ ხვდებოდნენ და რაიონიდან არავინ მოდიოდა იმისთანა გზები იყო, რომ ადამიანი კი არა, მასზე ხელიკები იმტვრეოდნენ. ვიყავი არხეინად... მოსვენებით... არც საქონლის სიჭარბე მაწუხებდა და არც რევიზია...

— რა დრო იყო... სულ რომანების კითხვით ვერთობოდი ჩემს გამოკარგივლებულ სალაროში! — დაუმატა მოღარე ქალმა.

— იყო და აღარ არის! — გააგრძელა ნოქარმა: — სიძნელეები სხვებისათვის გაქრა, მაგრამ ახლა ჩემისთანა საწყალი ადამიანები გაჩნდნენ. გაქრა ჩვეულებრივი მოსვენებითი ცხოვრება, ახლა დღე და ღამე ვმუშაობ და საქონლის ბრუნვას მაინც ვიღარ ავუღივარ. აურაცხელი პროდუქტები მოდის... ფსიც დამეკარგა... ვიღას უნდა ჩემი გულის მოგება, „ქაფსაც“ ვერ ვახერხებ. ადრე, როგორც აღვნიშნე, ჩვენი სოფლის გზაზე ხვლიკი იმტვრეოდა. ახლა კი იმისთანა სააგრძობილო გზა გაიყვანეს, რომ ცხრა მეტრი სიგანე აქვს. ადრე ჩვენი სოფელი მიუვლი იყო, არავინ გეაწუხებდა, ახლა კი ერთ კვირაში ხუთი რევიზია მოდის... ეხ... ამდენი გეგმები... ამხელა გზები... ამდენი საქონელი... გაძნელდა ცხოვრება! დაამთავრა მან.

— ყოფილი ვეპარია, კოპერატივში შეპარული მავისთვის მართლაც ახლა გაჩენილა სიძნელეები! — მითხრა ნიაგარელმა, როდესაც მარტო დავრჩით.

ერთი მუჟა გათავნელებული ოფიცრებინ დასაწყნარებლად ფეხზე დადგა მთელი ტოკიოს გარნიზონი და სხვა ადგილებიდანაც გამოიწვიეს ფლოტი და ჯარისკაცებებ...

ნიკოლოზიანი



ს. კანდელაკი

წინამძღი (ავჯანყებულ კაპიტანს):— თქვენი კეთილშობილება, ვთხოვთ დამშვიდდეთ და იარაღი დაჰყაროთ... უკაცრავად, ჩავვაბაოთ!

მუჟა სტახანოველის ბინაზე შევიარეთ. საღამო დრო იყო. მას-პინძელმა კარებთან უფროსი ქალი, ტექნიკუმის მოწაფე, მოგვაგება, ბინაში რომ შევედით ასეთი სურათი ვნახეთ: მუჟა სტახანოველი საჩუქრად მიღებულ დიდ ამპერიან რადიო აპარატს მართავდა; ცოლი ბიანინოს მიჯდომოდა და უფროსი ქალიც მუსიკის სახელმძღვანელოს კითხულობდა, ბავშვები კი მათთვის სპეციალურ კუთხეში ჩარიგებულნიყვნენ და სათამაშოებით ერთობოდნენ.

—ამათთან სიძნელებზე ლაპარაკი ზედმეტია.—მანიშნა სახის მოძრაობით ნიგარელმა და მასპინძლის წინადადების თანახმად სკამებზე დავსხედით. მე მაინც შეიკითხე მეგობარ სტახანოველს:

—რას იტყვი სიძნელების შესახებ ანუ. პლატონ?

—არავითარი სიძნელე არ არსებობს: სულ ადვილად ვიჭერ მოსკოვს, პარიზს, ბუდაპეშტს, ლონდონს, ბერლინს, მალე რამდენიმე უცხო ენასაც ვისწავლო, ადვილი საქმეა. მთავარია მონღოლები.

—მეც არ მიძნელდება ნოტების გარკვევა. პირველად კი ჩინური ანბანი მეგონა!—ჩაერია მეუღლე.

—მაშ კმაყოფილი ხართ ახალი ცხოვრებით?

—დიდი ხანია!

—მაშ თქვენი ოჯახისათვის სიძნელები აღარ არსებობს?

—მხოლოდ ერთი: ოთახში რაც ადვილი მჭონდა, ყველგან ახ-

ლად შეძენილი ნივთები მიწყვია და არ ვიცი აწი რასაც მოვიტან, სად დავაწყო.

ამ დროს რადიოში ინტერნაციონალის ხმა მოისმა. ორკესტრი ისე ხმა მალა გუგუნებდა, თითქოს იქვე, მეორე ოთახში საკონცერტო დარბაზი ყოფილიყოს. პლატონმა და მისმა ბავშვებმა ორკესტრს პროლეტარული რევოლუციის ჰიმნი ესპერანტულ ენაზე დაუძღვეს:

„ღვივებ ენ მისერ დრონანტა სკლავარ მალსატა დელატერ“.

—პლატონისათვის და სხვა ახალი აღამიანებისათვის სიძნელენი გაჭკრენ, ან უკეთ რომ ვთქვათ, შეიცვალენ—„სიძნელებად“ იქცნენ. მაგვარი „სიძნელენი“ რომ არ გაჩნდეს, მაშინ აღამიანის ცხოვრების შინაარსიც გაჭრებოდა. მაგრამ ჩვენთვის, კალმოსნებისათვის სიძნელენი იზრდებიან.

—რა სიძნელენი?

—ახალი გამრავალშინაარსიანებული ცხოვრების გამოხატვის სიძნელენი.

ასეთი იყო ნიგარელის უკანასკნელი შობიძნელება სიძნელეთა შესახებ.

სინამდვილე თანმობას მაიძულებდა...



ვ. იხაევძე

ეს მსახიობი საუფსოოდ თაბაშორს იჭვინი შერის კოლს!
- ეს იმიტომ, რომ თავისი ოჯახის უოველლიურ ამბავს იმეორებს სენაში!



— რატომ ხელუბზე დადის ის მოქალაქე?
— სიმშობისაგან ფეხზე სიარული არ შეუძლია.

უკანასკნელი

ექსეტერში (ინგლისი) სამი წლის პატი-
შრობა მიუსაჯეს ვინმე ოლა ხარდინგს, რო-
მელიც თავისთავს უკანასკნელ რომანოვად
ასაღებდა.

მე ერთზე ფიქრმა
ხარდინგო ოლა,
გადამიტანა
გადამიყოლა: —
ამ სამარცხვინო
ფსევდონიმიტა
თავს იწონებდი
ვერ მიხვდი რისა?!
რომანოველთა
შერცხვენილ გვარის
თუმცა ტარება
გავიხდა ძნელი,
რომანოვობის
მდომელთა შორის
დარჩები მაისც
უკანასკნელად

ის რები

სოვდაგები

ხელი მოაწერეს გერმანიის და მანჯოლუგოს
შორის დადებულ სავაჭრო „შეთანხმებას“



მანჯოლუგო გერმანიის,
თავს იქებენ ვაჭრობით,
ყუმბარები
ძიცოცავენ
ბითუმად და ნაჭრობით.

შერ აიბანს

ბომბეის ზოობარკში მოიყვანეს მახობუ-
ლა გველი, რომლის სიგრძე ექვსი მეტრია
მას სახელად „ბენიტო“ დაარქვეს.

უტყვია და
სხვა რა გზა აქვს?
რით გამოთქვას ნაღველი?—
ჭილად უსდა
შეიფეროს
უსახელო სახელი.

მეტყველი კი
შესძახებდა:
— „სიკეთე შიქენითო:
რა შეგცოდეთ?!
გადამარქვით
ეს სახელი — „ბენიტო!“

ჩვენ სულ მშვიდობიანობაზე ვლაპარაკობთ. თქვენი მეთაურები კი სულ აყალმაყალია ხასიათზე არიან. მოდი ერთი და მინაუთულად გეტყვი. როცა თქვენი პრისა სულ იმაზე ვაპყვიან, რომ პატარა იაკონიამ აჯობა დიდ რუსეთსო, აჯობა დიდ ჩინეთსო და სხვა, მაგონდება ჩემი მეგობარი კოლია ქაქანია.

ეს კაცი ბუნებით აყალმაყალის კაცია. თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ბევრჯერ დაუშვა შეცდომა, მაგრამ კეთილად იხსნება.

ერთხელ მოვდივართ ვერის დაღმართზე ხუთიოდე ახალგაზრდა. ჩვენთან არის კოლია ქაქანიაც.

— ახი არ იქნება, იმ გაბერილს ჩავაფარო ცილინდრში. იმ თხერს რა წერწეტა ქალი მიჰყვება! — ჩაილაპარაკა კოლიამ, დაწინაურდა და მართლაც ჩაარტყა მიმავალ მოქალაქეს თავში. მოქალაქე უცბად შემოტრიალდა. სტაცა ჩვენ კოლიას წელში ცალი ხელი და ელვის სისწრაფით აიტაცა ჰაერში.

— არ დაახეთქო, მოკვდება! — ემუდარებოდა ქალი ქმარს. ჩვენ რაკი შევნიშნეთ, რომ ცილინდრიანი ცნობილი მოჭრადე იყო. უცბად დაგვიფრიადა სადოიგრძელოში არაერთხელ ნათქვამი სიტყვები: „ის იმ ამხანაგს გაუმარჯოს, რომელიც დაღხინებაში კი არა.

გაჭირვებაში უშველის ამხანაგსო“ — და მოშორებით დავექით, თითქოს არც კი ვიცნობდით კოლიას. გასჭრა ქალის ხვეწხამულარამ. მოჭრადემ უვნებლად დასვა ძირს კოლია ქაქანია, ხოლო უბრალო პანტური ამოჰკრა.

თქვენ იფიქრებთ, რომ ჩემმა მეგობარმა კეთილად იხსნება. თქვენიც არ მომიკვდეთ.



აი მეორე შემთხვევა, ერთ კაპანაში მოხვდით. ეს 1924 წელს იყო, მაშინ ხენა-თესვის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კამპანიები კი არ ტარდებოდა, არამედ სხვა კამპანიები: პურმარილის, ქეიფის და სადღეგრძელოების. მართალი ვიხსოვრები არც კი ვაპირებდი წასვლას კოლიას გადასვლად, მაგრამ შაქრო ხევსურთან არაუძებნებ ველარ გავუძელი: — კაცო. სტუმრობა ყოველთვის სჯობია მასპინძლობას!

აბა რაღა მეთქმოდა ამის საწინააღმდეგო და წავედი.

ოროდღე ქიქის დაღვევის შემდეგ ატყდა თავისბურად კოლია ქაქანია. იძებდა ჩხუბის მიზეზს. მაგრამ ყველა ეუთმენდით. როცა ბოთლების სროლა დაუწყო კვლავ, ერთმა

სტუმართაგანმა სიცილით უთხრა: — შენისთანა ბიჭები რომ არ ჰყავდეს. რა ეშველებო და ბორჯომის შუშის ქარხანასო.

იუკადრისა ეს კოლიამ და სწავდა ყელში მას. მაგრამ სწორედ აქ მოხდა საჭიროებები. მოქალაქემ დასვა ძირს ჩვენი კოლია, წინა კბილებიც ჩაუბტურია და ცხვირიც მოუწვრია, ბუნებრივად მაგიერ კოლიას დღეს ხელოვნური კბილები აქვს. მაგრამ ცხვირას გასწოებას კი არაფერი ეშველა.

აი, ჩემო შორეულო პოლიტიკანებო. დაუფიქრდი ამ ამბებზე, რა გაქვთ საჯანჯლო? მზისთან ახლო ხართ, თქვენი სახელი „ია“-ზე იწყება და „ია“-თი თავდება. იას ჩვენში ღიდი მოწოკება უკმა „გ“. ა. ჩ. ულდა, ბუჩქის ძირას, თავს იწონებს ნაზი ია“-ო წერს პორტი. ია პირდაპირ სინაზის სიმბოლოა. თქვენ კი ისე იყურებით მუშტებზე, თითქოს თქვენი სახელი „ვაი“-ზე თავდება. როგორც ურუგვაი და პარავაი.

ჩემი აზრით მშვიდობიანობას არაფერი სჯობია. რად უნდა მივიდეს საქმე იქამდე, რომ თქვენს პრემიერ მინისტრებს კუბო სალონი ეაგონი ეგონოს?

მე ჩემი საოკმელი მოგწერე და აწი თქვენ იცით

სიმონაღა.

შენსაგაბიღებელი ვრიო

ბრტელ „ბაზაზნანა“-ს მალაზია. თაოოზე: მორცხვად გამოიყურება საპონი, ლილა, სოდა. ლამაზს გაუტყუებელი შუშები. ყუთებში: თხილი, ნიგოზი, ხურმა. ბატიბუტი და მრავალი სხვა თავშესაქცევი.

ბნელ ყუთებებში უამრავი თავი და ბრტერთი კატა.

გალიაში მჯდომარე მზეთუნახავი არსებობდა — მოღარე ქალი „ტრისტან და იზოლდა“-ს წიგნს კითხულობს. დახლოში ბოლთას სცემს მოწყენილი გამყიდველი, ხოლო შორს კუთხეში მაგიდას ოზის გამაგე და რაღაცას წერს.

მოღარე-ქალი:

ოჰ. ეს ტრისტანი... გადამრევს ალბათ. გული კოცონმა მოაგვირისტა. ვინ შეიყვაროს დღეს ისე ქალმა როგორც იზოლდას. უყვარდა ტრისტანს. რატომ არა ვარ მე ის იზოლდა, რომ სიყვარულის გავხდე მიონად, არ ვიკადრებდი შეხლას სხვის ცოლოან არც ათასებად. არც მილიონად. არც ტრისტანი ჰგავს ჩემს ბიჭს უხიავს, ჩემს ბიჭს, რომელმაც სიტყვას. ფიცს. სინდისს —

ათიათასჯერ გადაუხვია და გული ოჯახს ოახილო წინდას.

გამყიდველი:

მახლას. ნიტავ თუ რამეს ჰგავს ჩემი საქმე. ხელობა. რა მღვონა. რა ვიცოდი თუ ეს ბედი მილოდა. ვაჭრობაო? ეს რა არის, ის ხომ მონაგონია — წინათ სამი მათაზია. ერთ ობანში მქონია. დოიღო მომყავა. სიყმის მზემან, მაშინიღელი ქონია.

ახლა? ვედავარ ამ სხვის ოახოთან, ჩემს ჯიბიში კიბო ზის. მოვიპარო? რა ჩათს მომცემს თხილი, ხურმა, ნიგოზი?

გამაგე:

ცრემლი ნამავს ბედის ჯვარას, ვერ გამიხანის დანა კბილს, ვინ შემიგსება, რა დაფარავს ამოდენა დანაკლისს? ჩემივე ხმა მაქანკალებს, სიტყვაც მაკრობს, მაშინება — ენაზე რომ მომადგება კბილებს ვაჭერ მაშინვე. კაპეიკმა მანეთი შვა, მანეთებმა თუმანი. თუმენებმა კი ამიშალეს საღერღელი, გუმანი — მოვიარე ჩემი დამით ბორჯომ - აბასთუმანი.

ამ დროს მალაზიაში ნიანგი შემოეფა თავისი გრძელი ჩანჯლით მას უკან მოჰყვება საბი კაცისაგან შემღვარი სარევიზიო კომისია:

ნიანგი:

(მოღარე-ქალს ყურზე ხელს მოჰკიდებს). შენ ქალიშვილო! გირჩევ ანებო მაგ უსაფუძვლო ოცნებას თავი. (მერე გამყიველს მიმართავს) შენ თუმცა ტყავი გამოგიცილია მაგრამ გოლი გაქვს ისევე შავი. (შემდეგ გამგვს) შენისთემი ბაცაცები ამ ჩანჯალზე მიზიან.

მოემზადე, ხომ ხედავ, მოგადაგა რევიზია. ზორბა.

გაფრთხილება



კანადაში ბილოარდის მოთამაშე პოლიტიკანების შეჯიბრება გადიოდა, რადგან შეჯიბრების დაწყების წინ კლუბიდან ბილოარდის სათამაშო კვება ბრთვენი მოიპარეს.

— დააბრუნე ბავშვი, პოლიციელებს არ დაუძახოს. თორემ ერთი კვების ნაცვლად მთელ სამზარეულოს გაიტაცებენ.

ფანჩატურის სახეს იყო ხორბლით ახალი მოსავლიდან. თავებს არ ეძინათ. ხორბალს ახარამუნებდნენ და თან ბააბობდნენ.

—იცი, რა გითხრათ,—დაიწყო ერთერთმა თავგამა, რომელიც ამ ფანჩატურში დიდი ხანია ცხოვრობდა,—მე მგონია კოლიტით უნდა ვიყო ავად. ეს ხორბალი კი ნელელია...

—შენი კოლიტი რა უნდა იყოს... როცა მოგვდებოდა მან უნდა ნახო, სიმშვილისაგან კოლიტი კი არა, უარესი დაგვემართება.

—რაო, რაო? ეს დრო უკვე წავიდა... ყოველ წელიწადს მავს შესახებ ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენი ხელი არავის უსლია. ბი მი მუღი მყავს ეკლესიის თავი. ძველად იტყოდნენ—ღარიბი, როგორც ეკლესიის თავი, ახლა კი ის თბილდება არ არის სწორი. ყოფილ ეკლესიაშიც ხორბალია შენახული. ჩემი მუღი ისე გასუქდა, რომ შეხედა შეგეშინდებო. დღის მას კუდი ისეთი დიდი აქვს, როგორც წინად მუცელი. გუშინ ასეთი ამბავი შეემთხვა: უნდა ხვრელში ჩამძვრალიყო და ვედარ შესძლო. კუდით ხვრელიდან ძლივს ამოვართეთ.

—ჰე, არა, არა, მეგობრებო, მე მინც მეშინია.—განარძნობდა სკეპტიკი თავი,—უსათუოდ მოგიბრუნებ... ხუმრობაა, ყოველ წელიწადს რამდენ ხორბალს ვაფუჭებთ?

—ვიცი, ვიცი, რომ შენ ცნობილი ოპორტუნისტი ბრძანდები.

—სის, მგონია ვირობები მოდიან!—და ფანჩატურში ვირობები შემოდგინ... კანცელარის.



ყურადღება

ერთხელ ერთერთ ბროფისონალურ კავშირის მუშაკს ჰკითხეს: —არ არის კარგი, ამხანაგო სტაპანოვ, რომ ამხანაგი ლადიქინი მოკვდა, საუკეთესო დამკვეთი და ქარხნამდიდარ არაფერ ყოფილა მის დასაფლავებზე.

—უკაცრავად,—აღშფოთებული კილოთი მიუგო მათ ბროფისონალურ კავშირის მუშაკმა.—თქვენ ალბათ ყურადღებით არ კითხულობთ გაზეთებს. თქვენ არ იცით, დღეს ყურადღება ვის ექცევა? ყურადღება ც...ო...ცხ...ალ ადამიანს! თქვენ კი ლადიქინზე ფიქრობთ. მან ხომ სიკვდილია. იმდენჯ აკომპლტურად დატოვა ბროფისონალი? მასზე ლაპარაკი გათაქა, ბორობა.

საშეფო სოფელის სოფლისაკენ

საშეფო სოფელში ბიძაველინეს. ამ ამბავმა ისე გამახარა, რომ პირდაპირ „ტრანსკავშირისკენ“ გავექანე.

— აბა ერთი ბილეთი მომეცი?

— რომელი მიმართულებით? — მე გავქვავდი. არ ვიცოდი საშეფო სოფლის არც სახელწოდება და არც ის, თუ რომელ რაიონში იმყოფებოდა და რა მიმართულებით უნდა წავსულიყავი.

ამბის გასაგებად ისევ დაწესებულებაში მომიხდა დაბრუნება, მაგრამ რა თქმა უნდა არაკისათვის გამიმხელია რაც შემემთხვა.

ყველაფერი გავიგე და ისევ დავბრუნდი „ტრანსკავშირის“ კანტონაში.

ავტო გარბის აღბუღანის გზაზე და ისე რახრახებს, როგორც ქიზიყური ვირის ურემი.

ორგანიზმმა დაკარგა წონასწორობა: გული ჩავარდა კუჭის ადგილას, კუჭმა დაიკავა გულის ადგილი. ფილტვებმა—ნაწლავების, ნაწლავებმა—ფილტვების.

ახლა არ მკითხავთ ტვინის ამბავს? მან მიიღო ნამდვილი გათქვეფილი დოს სახე.

— სოფელი კოდა!—დაიძახა შოფერმა და გაჩერდა ავტო. მე მოვემზადე ჩამოსასვლილად.

მუხლები შეიკანკალბდა. მთელი მიდამო ჩემს თავში კალოში შებმულ ცხენივით ტრიალებდა.

მოვიკრიბე ძალღონე და როგორც იქნა შევეძელი ავტობუსიდან გადმოსვლა.

მივედი დანიშნულ ადგილას. მაგრამ არ მკითხავთ დახმარებაზე?

აბა ერთი მითხარით, ვის რა უნდა დაგხმარებოდნენ, როდესაც დასახმარებელი თვითონ ვიყავი. თავში გათქვეფილი ტვინი წისქვილის ბორბალივით ტრიალებდა.

მოსალამურდა. საშეფო სოფელს აღვუთქვი უამრავი დაპირებანი. ავიღე უკან დასაბრუნებელი ბილეთი და ჩავუჯექი ავტოში. ავტო მიჰქრის და ჩემი გათქვეფილი გულმუცელი კიდევ მეტად ითქვიფება. მე დავიწყე ფიქრი და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვისაც უნდა შეამოწმოს თავისი ორგანიზმის გამძლეობა, მან უსათუოდ უნდა იმო-

ვზაუროს ავტობუსით აღბუღან-მანგლისის გზაზე. თუ იქიდან უვნებლად დაბრუნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ორგანიზმი ყოფილა მაგარი და შესძლებია ყოველგვარი სტიქიონის გადატანა. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ავტობუსი შეხტა და ჰაერში ათამაშებული ბურთივით დამახეთქა საჯდომზე.

გადმოვიხედე ავტობუსიდან და ვხედავ, რომ გზა, რომელზედაც უნდა მიდიოდეს ჩვენი ავტო, დაცილებულია ამ „ახალი გზიდან“ ნახევარი კილომეტრით გვერდზე და ჩვენ კი მივსრიალებთ ჯეჯილის ზღვაში, აი, სად ყოფილა ძალღონის თავი დამარხული. შოფერს გაუკეთებია მანძილის ეკონომია და მოკლე გზით გადაჭრისათვის აუღია გზიხნულებისაკენ!

ა. ბერბიზვილი.

ამოხანა

სტალინის სახ. ტფ. შემკეთ. ქარხნის საქვამებს სახადლოში რომელიც „ორს“ ეკუთვნის და რომლის გამგედ ჯობლაძე არის, 200 მუშაზე არის მხოლოდ 13 კოვზი. ამოცანა გვეკითხება: რამდენი მუშა მოდის ერთ კოვზზე, რამდენი საათი არის გაცდენა უკოვზობის გამო და რა თანხა საქირო საქამო რაოდენობის კოვზების შესაძენად?

ზენა.

პატარა მოთხრობები

ჭირვეული სტუმარი



აზირობული ჩვეულება აქვს აქვსენტი ყინულად: წვეულებაში ვინმეს აუცილებლად უნდა წაეჩხუბოს. ნაცნობები ერიდებიან მის დაპატივებას, მაგრამ თითონ გაიგებს თუ არა, რომ სადმე წვეულება არის, იმდენს იზამს. რომ თავს ამოჰყოფს იქ. ყველანი ერიდებიან მას და მოკრძალებით იპყრობიან, რომ ჩხუბის საბაბი არ მიაყენ. მაგრამ აქვსენტი მაინც გამონახავს პინტუ და აყალმაყალს ატეხს.

ერხელ ასეთ ამბავზე წამოიწყო ჩხუბი. შეზარხოშებულმა წვეულებამ სიმღერა დაიწყო:

ქრელო პებელა,
ვაფრინდი ნელა...
ნურც ვაფრინდები,
ნურც მოფრინდები...

აქვსენტიმ ღვინით საესე ბოთლს ხელი დაავლო და შეუტია მომღერლებს:

—აბა რა ჰქნას პებელამ თუ ნურც ვაფრინდება და ნურც მოფრინდება?

ის იყო ბოთლი უნდა გაეხროლა მომღერალთა თავზე, რომ ბოთლში ღვინო შეამჩნია. დაენანა ღვინო და ბოთლი პირზე მიიყუდა ღვინის დასაღვებად. სანამ ბოთლს გამოსვლიდა, მომღერლებმა აქვსენტის დასამშვიდებლად სხვა სიმღერა წამოიწყეს:

ინდი-ბინდი, ფერად შინდი,
გადაფრინდი, გადმოფრინდი...
ვაფრინდი, მოფრინდი,
წაფრინდი და წამოფრინდი...

—ჰოი, ეს სხვა ამბავია. აი ეს მესმის, თორემ თუ არც ვაფრინდა და არც მოფრინდა, მაშინ რა ჰქნას საწყაღმა პებელამ?—აქვსენტი დამშვიდდა და თავის ალაგას დაჯდა.

გულმაგიწყი

თუ კაფეში შევიდა და მოითხოვა ჩაი მარტვეს.

გაზეთს კითხულობდა და თანაც ჩაის სვამდა. ნახევარი ექვზობდა დაღუფული, რომ კითხვამ გაიტაცა და გადააგიწყვიდა ჩაის დაღვება. როცა საინტერესო წერილი წაიკითხა, ისევ შეუდგა ჩაის დაღვებას. მაგრამ უცბად გაბრაზდა და მსახურს შეუტია:

—ვის იგდებთ თქვენ მასხრად?

—არავის, რაშია საჭმე?—გაუკვირდა მსახურს.

—მე თქვენ ვითხარით ჩაი და არა ჩაი რძით. ეს ერთი მგაორო, თუ თქვენს ყურს გაკლიათ და მოგეყურათ, თითქოს მე დაგიკვეთეთ ჩაი რძით, მაშინ სად არის რძე?

—თქვენ მე დამიკვეთეთ ჩაი და მოგართვით ჩაი.

—ნახევარი ჭიქა ჩაი დაგიკვეთეთ?

—არა.

—მაშ ეს რა არის?

—ნახევარი უკვე დალიეთ.

—როგორ! მე თქვენ ნახევარი ჭიქა ჩაის ჭურღობას მწამებოდა და გულმოსულმა მოქალაქემ მაგიდას ფეხი ჰკრა და წააქცია მთელი კაფე ფეხზე დადგა.

მილიციელი მაშინვე გაჩნდა.

—მსახური თქვენ მართლს გეუბნებათ!—წინ წამოდგა ერთი მოქალაქე, — თქვენ მან მთელი ჭიქა ჩაი მოგიტანათ გაზეთის კითხვაში ნახევარი დალიეთ და ახლა ის აღარ განსაოთ.

—სწორია!

—მართალია!—გაიხმა კაფეში ყოველმხრიდან.

—ჰო, თქვენც მართალი ხართ. —მოაგონდა მოქალაქეს სინამდვილე. — უკაცრავად, გაზეთის კითხვამ გამიტაცა და გადამაგიწყდა, რომ ნახევარი დაღვია. — მოიბოდიშა მოქალაქემ.

მაგრამ ოქმი მაინც შეადგინეს და გულმაგიწყი მოქალაქე კომისარიატში წაიყვანეს.

სამაგიეროს გადახდა

ამბაკო განთქმული იყო მთელს სოფელში თავისი სიმღერით. როგორსაუბრებზედაც კი იმ ვიათად თუ ვინმე მის ოჯახში ჭიქა ღვინოს დაღვება.

—გიორგი, გამოიარე ჩვენსას, კაცო, მოყვრები ვართ!—უთხრა მან ერთ მოყვარეს.

—ალბათ კვდება, თორემ როდის იყო, რომ ვინმეს პატიუბდა!— გაუკვირდა გიორგის, მაგრამ ერთ დღეს მაინც ისტუმრა.

ამბაკომ თავიც არ შეიწუხა. მოყვარეს არ გაუმასპინძლდა და შინ მოშივებული გაუშვა.

—ამბაკო, თუ არ გინდა ჩვენს შორის მოყვრობა დაიკარგოს, მომავალ კვირას უნდა მესტუმრო!— დაპატიჟა გიორგიმ წამოსვლისას ამბაკო.

—დღეს ნურაფერს აკეთებ. სტუმრად უნდა წავიდეთ გიორგისას!—უთხრა ამბაკომ ცოლს.

ამბაკო ცოლშვილით ესტუმრა გიორგის. საღამომდე გიორგიმ ლაპარაკით შეიჭვია სტუმრები.

—აბა ახლა შევეუდგეთ სადილის მომზადებას!—უთხრა გიორგიმ ცოლს. — ამ ჩემს ძვირფას სტუმრებს გოჭი უნდა დაეუკლა.

—ნუ ინარჯები, ჩემო გიორგი. გოჭი რა საჭიროა, ქათამიც საკმარისია!—უთხრეს სტუმრებმა, რომლებსაც გაეხარდათ გიორგის განზრახვა.

—თქვენ არ მომიკვდეთ. თქვენზე უკეთესი ვინ მესტუმრება!

—თქვა გიორგიმ, დანას კვირაზე აუწყო პირი და წავიდა გოჭის დასაკლავად.

საღორესთან აქყვირდა გოჭი.

—რა საჭირო იყო გოჭი!— განგებ თქვა ამბაკომ.

—გენაცვალეთ გოჭი კი არა, კამეჩი უნდა დაკლას კაცმა, როცა თქვენთანაა სადილი სტუმრები ესტუმრებიან!—უთხრა



სტუმარს გიორგის ცოლმა.

—თავსლავი დავასხი, რა უნვინდისო და უზრდელი ყოფილა!— შემოვიდა ლაპარაკით სახლში გიორგი.

—რა იყო კაცო? ვის ლანძღავ ასე?— შეეკითხა ცოლი.

—ვის ლანძღავ, დედაკაცო, და შენს გაზრდილ გოჭს!— შეუტია ცოლს გიორგიმ.

—რა იყო კაცო? რა ჰქნა ასეთი?

—რა ჰქნა და მისი სიკვდილი. გაუყარე თუ არა დანა ყელში, წამოხტა და გაიქცა. მივდიე, მარა ვერ დავიჭირე. უზრდელი და უნაზუსო. კაცო, დანა მაინც დაეტოვებია იმ მართლა ღორსა და უსინდისოს. რაფერ მოგვჭრა თავი მთელ ოჯახს ამ სტუმრებში? ქალო ქათამი მაინც დაკალი!

—დანა რომ გოჭმა წაგართვა?

—ჰო, მართლა. აბა რა ფუყოთ ახლა ამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს? რა ოხრობა უნდა ვაჭამოთ? ქალო, ცუდით წავაგდებოთ თავი ქათამს!

—კი წაავდებივთ, მარა საღამოა და ქათამი ახლა უკვე ხეზე გასული.

—ამბაკო, თოფი ხომ არ გაქვს, რომ ვეხროლო ქათამს ხეზე?

—შეიკითხა მასპინძელი სტუმარს, რომელიც წასასვლელად მომზადებულიყო.

—სიდაური მონადირე მე მნახე!— ცივად თქვა ამბაკომ და ცოლშვილს უთხრა: — აბა, წავიდეთ.

—ჩემო ამბაკო, მართალია იგი გოჭი კი გაიქცა ტყეში, მარა მუდამ ტყეში ხომ არ იჩნება? მოგა ჩაზამთრებანე შინ აბა რას იზამს. აი მაშინ მესტუმრით და... ახლა კი უკაცრავად!— და მასპინძლები გამოემშვიდობნენ სტუმრებს.

—კაცო, მართლა კლავდი გოჭს და მართლა გაგვცა?— შეეკითხა გიორგის ცოლი.

—ისემც რა ვუთხრა მაგ ძუნწს, რომ მაგისთვის გოჭი დამეკლა. სამაგიერო პატივისცემა გადავუხადე!



— ჩვენი სახლი ინგრევა და თქვენი კი, ანხ. სახ. ანხ. თავმჯდომარეც. შომებს არ ღებულობთ!
— ცილს მწამებთ. როგორ შეგიძლიათ ბრალდება დამამტკიცოთ! ჯერ ხომ არ დანგრეულა?!

კოტეს ბედი გაუცდდა,
ველარა ვრასნობს მოსვენებას
დღედაღამე შფოთავს გმინავს.
დაეშავაა მოჩვენებას.
გულის სატრფომ უღალატა
(ზოგს ლალატი უჩანს მოდათ),
უღალატა კოტეს ნუცამ
და სხეას ხელი გაუწოდა.



ნუცან ვული ახალ შვებინ
ყითანით დაიქარვა,
კოტესთვის კი თვით სიცოცხლის
ფასიც გაქრა, დაიქარვა.

გადაწყვიტა რაკი ქონდა
გული სევდით დაბასრული,
რომ მიეტა თვითმკვლელობით
სიცოცხლისთვის დასაბრუნო.

კოტე სიტყვას არ გადუხევეს,
მტკიცე არის განაჩენი,
თავს მოიკლავს, რომ მით მოკლას
სევდა გულზე დანარჩენი.

მაგრამ კითხვა დაებადა
თავგანწირულს მეტად ძნელი
და მიდიქრდა საკითხის წინ,
ვით დანიის პრინცი ძველი.

ფიქრობს: როგორ მოიყვანოს
თვითმკვლელობა სისრულეში,
დანიისავე ხელი მიაქვს
გამოისვას უნდა ყელში

არ ივარგებს... რომ დაიქრას?
სხვა ხერხი სჯობს—გადაწყვეტი
მდინარეში გადაეშვას?
არც ეს არის ზომა შეეთრო.

რევოლვერიც შინჯა ტყვია
სორა ისალოს საფეოქელში..
არც ეს გახდა საიმედო—
აქახკალდა ლოლი ხელში.

ოქრობს: „ამას ის სჯობია,
შეივება ჭიქით „სტოკის“ ღვინო,
ანდა თავის შაქრის ფხენალით
ყელი ჩავიხობლოზინო“.

ან სტრიზისა შევიძინო,
ან ორთქლმავალს მოვყვე ქვეშა,
ან შეზუთე სართოლოდან
მიწისავე გადავიშვა...

მაგრამ არც ეს... და სხვა ზომას
ეძიებს ღოღო მკითხოს რა ძეტსა,
უფრო სწრაფს და საიმედოს,
უფრო მტკიცეს. გადაწყვეტსა.

„ეკრიკა“-ის თქვა უფროდ
გაღვარულმა ფიქრითა ოცელში
ტახსაცმელი ჩაიცვა და...
გაეშურა აბანოში...

მედუზა.



ქუჩაში მდგომ მილიციელს
მოქალაქემ მოჰკრა თვალი.
გაჩერდა და ცქერა უწყო,
დაავიწყდა გზა სავალი.



როცა გაძღა მისი ცქერით.
მოიფერა როცა გული, —
წავიდა და თავისთვის თქვა
მან ასეთი აზრი ბრძნული:

„თუმც ოპერის ბალეტინებს
უნაკლო აქვთ მიხვრა-მოხვრა,
მაგრამ თუ კი მიმიღებენ
მე მეგობრად, ანდა მოყვრად,



მათ ვურჩევდი, რომ ამათვან
გადმოიღონ ცოტა რამე,
თორემ მათი ბალეტისთვის
ღირს დაჰკარგო კაცმა ღამე!“

ნ. ს.

ნახ. მ. ჭიაურჯიანი



სახალსო არტისტი უზანოი ჩხუციანი

უველა როლს კარგად ვთამაშობ,
თეატრი ჩემით ამაყოფს.
მაგრამ ვველაზე ბრწყინვალედ
ვასრულებ „ეჭვით ავადმყოფს“ *)
ი. გრიშაშვილი.

*) მოლიერის პიესაა



სახალსო არტისტი ალექსანდრე იმედაშვილი

უნდა ეს რეჟისორები
დაიჭირო და მოთელო.
მე გიჩვენებდით სერსა,
აბა დაგედგათ ოტილო.
ი. გრიშაშვილი.

ნახ. მ. ჭიაურჯიანი

ახლა მე უკვე გასული ვარ ფონს და ამიტომ შემიძლია თაძაძად გითხრათ ჩემი გულისწყრომა, მრისხანე ბაღლინჯოვებო, ქობულეთის სასტუმრო „კურორტიდან“.

დაახ, ეგ სასტუმრო კურორტი. თქვენ-ჯონს, ბატონებო, მაგრამ ჩვენთვის?..
გახსოვთ, ორიოდე კვირის წინათ თქვენ რომ ერთი მოქალაქე ჩაიგდეთ ხელთ და კინალამ გააჩანაგეთ?

ის მოქალაქე ვარ მე და მოვითხოვ პასუხს თქვენი პირდაპირი უტიფრობისათვის, რომელსაც კვანტუნის შტაბის (იპონია) უტიფრობა თუ შეედრება!

საქმე იყო ასე:
ქობულეთში სასტუმრო ბევრია, ჩვენ ზოგიერთში ღამეც გავითევია, მაგრამ სრულებით არა ისეთი, როგორც თქვენთან.

გულუბრყვილო ადამიანმა, მე ვიფიქრე, რომ რაღაც სასტუმროს შენობა ახალია და ზედაც „კურორტი“ სწერია, კარვად მოვისვენებ-მეთქი.

შევედი და ნომერი ავიღე. იმ ნომერში ორი სხვა მოქალაქე იყო. მაგიდას უსდნენ. დავაკაჯუნე.

— ნუ შესწუხდებით, პირდაპირ შედით! — გამაფრთხილა სასტუმროს თანამშრომელმა.

კარებს მივაწეე და ოთახში რაღაც წაიქცა. თურმე, ვინაიდან კარები არ იქცებოდა, მივინიღე და მოუყუდებიათ. სწორედ ის მაგიდა წაიქცა.

დიდი ბოდიშით შევედი გაგაღვიძეთ ამხანაგებო-მეთქი. ჩვენ მაინც არ გვიძინავსო, მიპასუხეს. რატომ, უკვე ორი საათია ღამის? ისე, არ გვეძინებო.

მე კი, უნდა გამოვტყდე, საშინლად მეშინებოდა. გავიხადე, მაგიდა კარებზე მივაყუდე და დავწეე. ელექტრონი არ ჩამოკრია. რადგან ისე ანათებდა, რომ თითონ ღამსაც ძლივს მოსჩანდა.

რა კარგია, როცა დიდილი ხარ და თბილ საწოლში გაიშოტები. თვალები თივისთავად იხუჭება და აი...

მაგრამ ეს ვინ დარბის ჩემს სხეულზე? ეს რა ცხოველები დაძრწიან?

თვალები გავახილვე და წამოვჯექი. და თვალთა ჩემთა იხილეს ურდო მრისხანე და დამშეული. ბაღლინჯოთა ლაშქარი მოსდებოდა ლოჯინს, ბალიშს, ჩემს სხეულს.

— იძინეთ, რატომ დგებით? — ირონიულად მომმართეს მობინადრეებმა.

მე მივხვდი, რატომ არ იწვიან ეს ამხანაგები.

სარეცელს მივუბრუნდი და ბაღლინჯოთა არმიას ბრძოლა გავუმართე. ეს ცხოველები ფრთხილ გამხდრები იყვნენ და ქაროვით დაქროდნენ. სულ რაღაც ორმოციოდეს მოკვლა მოვასწარი. ლოჯინი ავიღე, გარეო გავიტანი, დავფერთხე და ისევ გავშალე.

დავწეე. დაიწეე, რადგან უძილობით ფეხზე ვეღარ ვდგებოდი.

გოყურებ. ჩამიჩუმი არ ისმის. ალბათ გამიწყვეტია-მეთქი ვიფიქრე და დავიძინე. ალოინი მოწყული არ იქნებოდა, რომ გამეღვიძა. ტანზე ხელი მოვისვი. წამოვბრბოლინჯოთა ლეგიონები ისევ მოსწოლოდნენ ჩემს სარეცელს...

ისინი (მოქალაქენი) მაგიდას უსდნენ და ხვრინავდნენ...

ისევ ბრძოლა ხელჩართული. ოღონდ მეომრები შიდაარებით ნილა მოძრაობდნენ. რადგან გამძლარიყვნენ. ჩემი სისხლით. გესმით? სისხლით, რომლის თვითეთლიც წვეთი მამასისხლად მიზის!

თენდებოდა და სკამზე დავჯექი საწოლის ახლოს. პალტო მოვისხი და ჩამთვლიმა. გატენებული იყო, როცა გამეღვიძა. თურმე თავი ისევ ბალიშისკენ წამილია. ბაღლინჯოებს იგი ნიღად გამოუყენებიათ და დამხვევიან...
დილით ენახე ეს ცხოველები, რომლებიც სიმსუქნისაგან ძლივს დაბობლავდნენ. ზოგიერთს თავი ვეღარ შეეკავებინა და გალაღებულს იქვე ჩაძინებოდა. ამის შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, შემდეგ მითხრეს, რომ გულშეღონებული გადავეყვანე სხვაგან, რომელიღაც მეგობრისას...


აი, ეს იყო, რაც უნდა მეთქვა. საიდან

მოხდით თქვენ, ბოროტო ცხოველებო, ეგ-ჯონს ახალ სასტუმროში? ნუ თუ მართალია, რომ თქვენ ძველი სასტუმროდან გადმოჰყვეთ ძველ ავეჯსა და ნამუშევრად ლეიბსაზნებს, სადაც ვერაფერად შეგარეგულონი ცეტოებით არხინად მოსეირნობდით ახალ სასტუმრო „კურორტი“?


კარგი, გადმოჰყვეთ, მაგრამ განა სავალდებულოა, მაინცდამაინც ახლად ჩასული კაცი დაჩაგროთ და უყურადღებოდ დატოვოთ თვით სასტუმროს გაძეგებლის? განა სასტუმრო „კურორტი“ ბაღლინჯოთა კურორტი? ან კიდევ, განა ბალი არ არის, რა ჩემზე მოიცალეთ?..
ალეკო.

ვაგონის ევოლუცია

ნახ. გ. ლომიძის




ჩვეულებრივი ვაგონი იყო, სამგზავრო.




ერთხელ ის ჩიხში ჩაყენეს.

— ეს კარგია, ბინად გამომადგება! — თქვა უბინაო რკინისგზველმა.



...და გადმოსახლდა ვაგონში.



— რა გაბრაზებს, ჩემო კარგო? — უთხრა მეორე რკინისგზველმა. — ამ ვაგონში შენც დაეტევი და მეც, ორივეს გვეყოფა ბინად! — და ცხოვრობენ მეუბლები.
დაწვრილებით ეს ამბავი ნახეთ ზოგიერთ ჩვენს სადგურებში.

ხუთიც დაუვატით!

შეგნებული კაცი ხარ და ქალებს ხუთ მანეთით გვისტუმრებ ხუთიც დაამატეთ რა იქნება?

ჯიბზე მეტი არა მაქვს, თორემ არ ვაწყენინებთ.

— მაშ კარგი, აწი კი სხვას.

— ჯერი თქვენზეა, ამხანაგო მიშა, იმედია თქვენ მეტს შემოგვწირავთ.

— მაი ნინა კომუნისტია და მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს უმატებს ვაჩნადის ქალი და მიშასკენ მიიწევს.

— არ შეიძლება განმარტება მოგვცეთ თუ ამ ფულს ვის სასარგებლოდ აგროვებთ? ეკითხება უხერხულ მდგომარეობაში მყოფი მიშა აღნიაშვილს, რომელსაც ხელში უჭირავს სია და მუშა-მოსამასხურეებისაგან შეგროვილი ფული.

— ჩვენც მაგას მოვითხოვთ, ჩვენც — დაამატეს თანამშრომლებმა..

— ამ ფულის შეგროვების კამპანიის მიზანი გახლავთ ამხანაგებო ის, რომ 20 წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა პოეტი აკ. წერეთელი. მისი ოჯახი ინგრევა და მომვლელ ქალს უნდა დავეხმაროთ. — განმარტა ან. აღნიაშვილმა.

— კი მაგრამ რა შუაშია საქ. დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები? როგორ, იქ რაიონის ხელისუფლებას სძინავს, ან ხელისუფლების ორგანოებს ხომ არ დაუდგენიათ, რომ განათლების კომისარიატი უმწიოა დიდი პოეტის სახლის შენახვაშიო?! — შენიშნა იქვე მდგომა კომკავშირელმა რაზმაძემ აღნიაშვილს, რომელიც შერცხვინილი თითქოს გაწითლდა.

— მაშ ჩემო ძამია, თუ ფული არა გაქვს შეგიძლია გაიაროთ. ხეოს ნუ გვეშლით ხომ ხედავ ორი ქალი ამ საქმეზე გეუშობთ განიმეორა გაჩნადი.

— აბა, წავიდეთ ლალია, მეორე განყოფილებაში, იქ უფრო ფულიანი ხალხია. მაგ ლაწირაკებს რომ ვუყუროთ სულ მაგრე იპახიან, დადგენილება ხომ არ არის... გინ და გავალათო...

ეპისი თვის შედეგ.

ქალებო ახალი ამბავი იცით? არა!

— ანა აღნიაშვილს აქ შეგროვილი ფული მიუთვისებია და წუხელ რაიონის მილიციას პასუხისგებაში მიუცია. ამბობენ ამ დღეებში სასამართლოს წინ წარდგებაო.

ციცხია





ნახ. ღონის

ქრონოსული

რად მიცქერი აგრემტრულად?
რად არა გწამს ჩემი ფიცი?
ქალო, შენი სუყვარულით
ვბტივარ როგორც ცელქი კვიცი.

ნუ გარბიხარ ჩემგან ნუ, ნუ.
შენთან ახლოს უოფნა მინდა.
რად არ გჯერა ჩემი გულის
გულწრფელობა, გრძნობა წმინდა.

შემიყვარე, თორემ იცი?
მოვაბრუნებ შენსკენ თოფსა
და წინ ვერვინ დამიდგება
შენი ტრფობით განაცოფსა,



იყო ხუთი ძმა. ხუთივე დავაქაცბული იყვნენ, მაგრამ ცოლი არც ერთს არ ყავდა. ერთ დღეს მათთან მოვიდა ერთი დედებერი და უთხრა:

—ცხრა მთას იჭიდან ერთი მზეთუნახავი მოვიყვანე. ისე მშვენიერია, რომ მისი შუქი მთვარეს აკრობს და მზეს ეცილებს.

—არიქა, მოგვეარე, ჩვენც მავისთანას გვებო, ერთხმად შესახეს ძმებმა.

—მოგვერიო, მაგრამ ერთი პირობით —თქვა დედებერმა.

—რა პირობით? თქვი ჩქარა! ყველაფერს შევასრულებთ! — თქვა უფროსმა ძმამ და უღვაშებზე ხელი გადაისვა.

საუკეთესო ქორწილი უნდა გადავიხადოთ. ქალი თქვენ ხუთში მხოლოდ მას წაყვება; რომელიც საუკეთესო სუფრის გამართვაში ყველაზე მეტ უნარს და გამჭრიახობას გამოიჩენს.

დასთანხმდნენ ძმები დედებრის პირობას, მოეწყვენ და გაუღვნენ გზას ქორწილისათვის სურსათის მოსამარაგებლად.

ყველაზე უფროსი აღმოსავლეთით წავიდა, მეორე ძმა, მისი მომყოლი — დასავლეთით, მესამე ძმა — სამხრეთით, მეოთხე — ჩრდილოეთით.

მეხუთემ სულ უმცროსმა კი დაავლო ხელი დიდ კალათს და მხიარულად ჩაილიღინა.

როსტომ ვშირისგან თქმულათ
ხერხი სჯობია ღონესო,
ხერხი ხნავს, ხერხი მოთესავს
თუ კაცი მოიგონებსო.

მე ცხრამთას იჭით საღ წაგულ
დავს რად ჩავიგდებ ქირაში;
სულს და გულს რაც მინდა
აქვეა ყურის ძარაშიო.



თქვა და შეიარა თავის საცხოვრებლის მახლობლად „ვატრონომის“ საეკროში.

რამდენივე წუთის შემდეგ ისეთი სუფრა გააწყო რომ ჩიტის ბძეც კი არ დაკლებია. დაუძაბა დედებერს, მოაყვანინა მზეთუნახავი, უხმო მეზობლებს და...

შეიქმნა სმა და პურობა,
ლხინი შექცევა თავისა,
საქმელი სუფრად ხაწყობა
ყო უივადეს ხევიისა.
აღიესებოდის კახურით
იაგუნდისა ჭიქები;
ნის განცხრომისა მაქები
კაცი ბრძენთაგან იქები.
მჭკრეტელო გულსა ეტყოდი.
ნუ აეხსნები, იქები.

ამრიგად დარჩა უმცროს ძმას, მზეთუნახავი, რადგან მან მოახერხა საკმაოდ სწრაფად ცხრამთას იჭით წაგულის ნაცვლად „ვატრონომში“ მისვლა, თუმცა მას შეეძლო შინიდან ფეხიც არ პოეტევალა, რადგან

გასტრონომიისა და ბაჰალმას ყველა მალაზია.


იღებს დაკვირვებს კარდუშტმების სახლში მიტანაში
დარამათ უმეღები ბელეფონებით:

გასტრონომის მალაზიები:

- №—1 (კიროვის 2) ტელ. . . 3-59-41
- №—2 (პლახანოვის გამზ.), . . 3-13-87
- №—3 (საბჭოს 3) 3-45-82
- №—5 (რუსთაველის გამზ. 20) 3 39-24

ბაჰალმას მალაზიები:

- №—1 (ღონის 3) ტელ. 3-49-82
- №—2 (შაუმიანის მოედ. 2)
- №—3 (ვ. მარჭის ქ. № 147).



ნაგომარში მოუხდათ საქმე გასაკვირალი:
შეიძინეს მანქანა მოგუგუნე, მყვირალი.
თავდაღმართში მარდია, აღმართში კი—მტირალი,
უცხენოდ ვერ დასძლია, იმან ნასაკირალი.



სამტრეღია

ჩვენი ქალაქი ზურმუხტით
შემკეს, გადაფარესო,
ღლისით მზესა ჰგავს და ლამით
შუქტურა ვარსკლავს, მთვარესო.
თუმც გზების, ბაზრის გულისთქმამ,
კიდევ ვერ მოაგვარესო,
ლაფ-ტლაპო გადასერილა,
ენას გამოთქვამ მწარესო.
კოლმეურნესა ვაღონებთ,
ორჯული გაიხარებსო,
კამეჩი ბევრჯერ დამდგარა,
დაულონია ხარებსო.
თათბირებზე და კრებებზე
ბჭობენ და რეკენ ზარებსო...
და აღმასკომი აწ მაინც
ნახვას ნუ დაიხარებსო.
ვგოდებთ ჩველს ტელეფონისას
უმწეროს, მწოლიარესო.
ქუხილითა და წუხილით
აწუხებებს სარე-მარესო.
ლოდონით გოლი ლოსსა ჰგავს
და ხშირად მგლოვიარესო
სტახანოური მეთოდო,
აწლოს არ გაიკარესო!

გაზნელი გზიკი

როცა შინდა დავკეტავ,
სხვაგან წავალ სტუმრადა.

შალიან ადვილი გამოსაცნობია. ყველა მოხვდა, რომ ეს არის სადგურის მოღარდ ზოსით მე.

როკოკოს (ქუთაისი). თქვენს „ანალ ანდაზებში“ ერთი ძველი ანდაზაა: „ათრინეს ალალიო, რაც არ არის, არ არიო“. ალბათ ეს თქმულება თქვენი „ახალი ანდაზების“ შესახებ უთქვამს ხალხს.

ბ. გურჯელს (ველისციხე). თქვენ გგონიათ, რომ მარტო თქვენი რადიო არის მაგ მდგომარეობაში?

თუმცა ტექნიკი ტრაზახობს,
გვაქვსო კარგი რადიო,
მაგრამ რაც ის დამუნჯდა,
თვე ქე არის ათიო.

ძუძუს (სიღხალი, გვერთ, რომ ამ ლექსის წერის დროს ცოლმა შემახურა და ყურები ამიწიაო:

ჩვენში არის ბევრი ვირო,
უფრო მეტი ჩოჩორიო,
ცოლი შემრთეს და რა ცოლი,
ამავლიჯა ქოჩორიო.

და მეორე ალაგას ამავე ლექსში გვთხოვ, რომ:

მელოტი ვარ და სხვა რამე
გეგონებათ ჩემი თავი.
გთხოვთ. რომ მომცით მე წამალი
ჩემი თავის გამკურნავი.

--- კარგადაც მოქეულა თქვენი ცოლი. მეტის ღირსიც ხართ ასეთი ლექსების წერისთვის. რომელ მელოტს ჰქონდა თავზე ქოჩორი?

ბ. უკლებას (საჯანო, ჩხარის რ.) თქვენ გვწერთ სკოლის გაბეგ დაიითზე, რომ:

არ უყვარს მცირე სასმისი,
ჩაის ჭიქებს სვამს წყვილადა.
გაცივითილებზე სკოლაში
იძინებს იგი ტკბილადა.
ალბათ თქვენი სკოლის გამგეზეა თქმული: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

შანსს (სოფსა). თქვენი ამოცანა: მი ხალარო თავხადე
ნამდვილ საწვავლ იურადა.

უკეთეს მდგომარეობაში არც დიდი-ჯიხანიშის რადიო ყოფილა, რომლის შესახებაც მოვეუსმინოთ:

ბაბანიკას (დ. ჯიხაიში). გვწერთ, რომ:

კვდება ჩვენი რადიო,
აუვარდა ხროტინი...
გაგვიარა ამდენი
ხარჯები და ლოდინი.
მოგვეშეეღე ნიანგო,
მოუტანე ლოგინი.

ლოგინი ვერ უშველის. საჭიროა „ტექნიკის“ შეხორბა და ავადმყოფი განიკურნება. მაგრამ თქვენ გგონიათ. მარტო თქვენი რადიო არის მაგ მდგომარეობაში? უკეთეს მდგომარეობაში არც ბათუმის სუბტროპიკული მოშოაკის რადიო არის, რის შესახებაც მოვეუსმინოთ:

ნერლინბს (ბათომი). გვწერთ, რომ:

რეპროდუქტში ობობამ
გაიკეთა ქსელი...



უცხაბ ვაგ ნახ. ლონი
ნახ. ლონი